სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22აპრილი, 2026 წ.

ბრძანება №01-02/71

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 იანვრის №06-01/10 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს საარჩევნო დებულების“ მე-2 და მე-6 მუხლების, ,,ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის ნოემბერში ჩატარებული არჩევნების შედეგად არჩეული აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის №06-01/133 დადგენილების, ,,მთავარი მეცნიერი თანამშრომელ მარიამ მეტრეველისთვის აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 13 მარტის №06-01/34 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს **აკადემიური საბჭოს წევრის** არჩევნები, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტიდან 1 (ერთი) წევრის - სამეცნიერო თანამდებობის პირის - **არჩევის მიზნით** (ვადაზე ადრე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი <u>მარიამ მეტრეველის</u> <u>უფლებამოსილების დარჩენილი ვადით</u> (2022 წლის 01-02 ნოემბერში არჩეული აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადით)) - **2026 წლის 14 ნოემბრამდე.**
2. აკადემიური საბჭოს წევრის **არჩევნები ჩატარდეს 2026 წლის 30 აპრილს** №13 აუდიტორიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ბსუ-ს პირველი კორპუსი; არჩევნები -კენჭისყრა იწყება 14:00 საათზე და მთავრდება 15:00 საათზე).
3. არჩევნებში მონაწილეობის მიღების მსურველმა ბსუ-ს **საარჩევნო კომისიაში** (მისამართი ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ №32/35, ოთახი №14) 2026 წლის **23 აპრილიდან** – 2026 წლის **29 აპრილის** ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე **უნდა წარადგინოს:**

   ა) განცხადება;

   ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

   გ) ცნობა <u>ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის პირის</u> სტატუსის შესახებ (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი).
4. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორს დაევალოს ინტიტუტის **ამომრჩეველთა სიის** წარმოდგენა ბსუ-ს საარჩევნო

კომისიისათვის - არაუგვიანეს 2026 წლის 29 აპრილისა (**შენიშვნა:** ამომრჩეველთა სიაში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია: ამომრჩეველის სახელი და გვარი; პირადობის მოწმობის პირადი ნომერი და დაკავებული სამეცნიერო თანამდებობა. სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელს აკადემიურ საბჭოს წევრად ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი).

5. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებითა და ბსუ-ს საარჩევნო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის საინფორმაციო დაფაზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (კონკურსის ველში, ასევე ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სიახლეების ველში).
7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**